

1945

ნისნგი



ქართული
ლიბრთეკა

№ 21-22

1945 წ. თბილისი 4 მანკ. გამოს. წელი XXII.

თბილისი.

საბჭოთავო-საბჭოთავო



ს. ჯამბაკიძე


ნახ. ა. კანდელაკისა

თბილისის დაბნულუის აბტკონსომიული დაკვირვება

(იხ. გვ. 8)



საარჩევნო უბანში იკრიბები



საარჩევნო უბანში იკრიბები

ჩ ვ ე ნ ი

ჩ ვ ე ნ ი იდგა აივანზე, წასასვლელად გამზადებული. იქნებოდა ასე სამოცი წლის მოხუცი. ეტყობოდა რომ გულმოსული იყო. შუბლზე კაბები შეეკრა, ხანდახან თვალთან ხელს მოიჩრდილა და ისე გასცქეროდა გზას. ბოლოს მოთმინება სულ დაჰკარგა. ნახევრად ცარიელ სურჯინს ხელი დაავლო და ბავშვივით სწრაფად ჩაირბინა კიბის საფეხურები. ეზოში გავიდა. ის იყო ტიშკარი უნდა გაეღო, რომ შეგერდა. ისევ უკან შემოტრიალდა. აივნისაკენ დაიწყო ცქერა. მოუსვენრობა ეტყობოდა მხეცს, ხან კაბას ისწორებდა, ხან თავშალს. ქუჩიდან კი ისევ ხმაური მოისმოდა. ფეხის ბაკუნით დადიოდნენ მგზავრები გაყინულ გზაზე. მოხუცი ისევ აივანზე ავიდა და გზას გახედა. ნაცნობი ფეხის ხმა შემოესმა. მოდიოდა მისი ვაჟი. შავგვრემან სახეზე მკრთალი ფერი გადაჰკროდა. წაბლისფერი თმები შუბლთან ჩამოსვლიდა. ეტყობოდა, რომ დაღლილი იყო და ღამენათევით დედა რომ აივანზე დაინახა, შორიდანვე შეეხმაურა: — მაინც არ იშლი და მიდიხარ, არა?

— აბა შენ რომ გიყურო, წასამდროსაც აქ ვიჯდები! — ცოტა არ იყოს მკვახელ მიუგო მოხუცმა. მაგრამ როდესაც შვილი აივანზე ავიდა და დედის წინ დადგა, ისეთი მოსიყვარულე და ნათელი თვალებით შეხედა თავის ვაჟს, თითქოს მასზე გული არასოდეს მოსვლოდეს. ისიც კი დაავიწყდა, რამოდენიმე წუთის წინ გაბოროტებული რომ გაყურებდა მის გზას.

— არა გაგიწვებ, არა, — გუბნებოდა შვილი. დედა იდგა თავჩალუნული და გაჩვენებული. მალე ისევ წელში გასწორდა, თავშალზე ხელი მოისვა, და თითქმის თხოვნით მიმართა შვილს: — შენც არ მომიცდე და მამაშენის სულიც არ წამაწყედეს, მე დღეს აქ არ დავრჩე, გზას ვადგივარ და გამისტუმრე ბარც. თუ არა და მე თითონ წავალ, არ მინდა შენი გაცილება. შენ მაინც მთელი ღამის ნამორიგევი ხარ, დასვენება გინდა. — შვილი ხედავდა, რომ მასთან ვერაფერს გახდებოდა და ზედმეტ პატივს თავი მიანება.

— როდესაც არ იშლი, აბა წავიდეთ ახლავე, ნუღარ ვიგვიანებთ. — უთხრა მან დედას, თან სურჯინი ჩამოართვა და გზაზე გავიდნენ. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, თითქოს ერთმანეთს ეძღვრიანო, ბოლოს ისევ შვილმა დაარღვია სიჩუმე: — ხომ მიდიხარ და მიდიხარ, ახლა მაინც არ მეტყვი, რა საქმე გაქვს სოფელში ამისთანა გადაუდებელი. — მოიწი აქეთ. — უთხრა ცოტა შერბილებული ხმით მოხუცმა და თან მკლავში ხელი წაატანა შვილს.

— ჩვენ სოფელში მალე არჩევნები დაიწყება. — ხმადაბლა და ფრთხილად ლაპარაკობდა იგი. — ხო და მთელი ჩვენი სოფელი უნდა წავიდეთ იქ, არჩევნებზე, და მივცეთ ხმა. — მოხუცმა აქეთ-იქით გაიხედა და თან ნაბიჯს მოუწატა.

— მაგისთანა არჩევნები აქაც კი იქნება. თუ მეტი არაფერი საქმე გაქვს სოფელში, მაგას აქაც კი გააკეთებ.

— რას გაცავთ აქ? — ხმა აუწია მოხუცმა. — მთელი დღე ბაიყუშვიტის ეზო-არ მართოკა სახლში. იქ ჩვენ მასწავლებელი გეასწავლის ყველაფერს. როგორც მამდვილი შკოლა ისეა მოწყობილი კალენჩკის სახლი. ქალები ერთად რომ შეიკრიბები, იქ ყოფნას და სწავლას არაფერი სჯობია.

— ვინ მასწავლებელი გასწავლით? აგიტატორი იქნება ალბად. აქაც კი არიან აგიტატორები.

— ვინ არის აგიტატორი? — შეიცხადა მოხუცმა. — აგიტატორი კი არა თითონ თეიმურაზ მასწავლებელი დაიარება ჩვენთან და ის გეასწავლის ყველაფერს.

— დედა! აქაც არიან მაგისთანა მასწავლებლები. აქაც მეცადინეობენ ქალები უბნების მიხედვით. შენ გუშინწინ ჩამოდი და რა იცოდნენ, თუ აქ იყავი, თორემ სახლში ვინ გაგაჩერებდა. შენც წავიყვანდნენ სამადალინოდ.

— თავი დამანებე, დედაშვილობამ, ნუ გამომწყვეტ ჩემ მთავრობაში. ჩვენ სოფელში ყველას ვიცნობ. მეც ყველა მიცნობს. აქ რა უნდა გაცავთო. აქ მე უცხო აღამიანი ვარ. არ იქნება ღამაში ასე. დამესხუნი თუ კაცი ხარ, არ მინდა შენი არაფერი. შენ ისე ეშმაკივით შემომიჩნდი, რომ მე ვიცი დღესაც დამტოვებ მატარებელზე.

შენ მე ასე ნუ კი მიყურებ, ბებერია და არაფერი ესმისო. მე ყველაფერი კარგად ვიცი. ორი მთავრობა გამოვიცვალე და ხმა მქონდა თუ არა არც კი ვიცოდი. ვინ შეითხავდა მე ქვეყნის საქმეს. სახლის საქმესაც არაფერს მეკითხებოდა. რასაც მიბრძანებდნენ, იმას ვაკეთებდი ყოველთვის. ძლივს მოვესწარი იმას, რომ მეც აღამიანად ჩამავლეს. მეც ქვეყნის საქმეს მეკითხებიან და ახლა, როცა ჩემ მთავრობას ჩემი ხმა სჭირდება, მე რომ მას ვუღალატო და აქ დავემალო, ქვე მოვკვდარეკარ მაშინ! — გულამომჯდარი ლაპარაკობდა მოხუცი. თვალები სიხარულის სხივით უბრწყინავდა და ისე სწრაფად მიდიოდა წინ, რომ მისი ნაბიჯი შვილი ნაბიჯს ძლივს უსწორებდა.



კარგა ხანია ჩვენი მეცნიერების ყურადღებას იქცევს თბილისის სახელების ცაზე შემჩნეული უცნაური ასტრონომიული მოვლენები. ვინაიდან ვერც აპასთონის ობსერვატორიამ და ვერც რომელიმე სხვა საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ჯეროვანი ახსნა, ასტრონომიისათვის ამ უაღრესად იშვიათ და საინტერესო მოვლენისა, ნიანგი თვით შეუდგა მის შესწავლას.

უპირველეს ყოვლისა ნიანგმა უვარგისად სცნო ტელესკოპი და დღემდე არსებული სხვა ასტრონომიული ხელსაწყოები. ამ ხელსაწყოების გაუმჯობესების შედეგად ნიანგმა გამოიგონა ახალი აპარატი, რომელსაც მეცნიერებმა „თელასკოპი“ უწოდეს.

„თელასკოპი“ დადგმულ იქნა ფუნქიკულიორზე, საიდანაც ნიანგი უკვე მთელი წლის განმავლობაში ახდენდა დაკვირვებას „თელასის“ დაბნელებაზე.

ამ დაკვირვების შედეგად მოპოებული მასალა მეცნიერულად დამუშავდა „ნიანგის“ რედაქციაში და მიღებულ იქნა შემდეგი დასკვნები:

- ა) მზე ანუ „თელასი“ არის უდიდესი პლანეტა და სინათლის მთავარი წყარო თბილისისათვის.
- ბ) „თელასი“ ერთგვარად ჰფენს შუქს ყველა დაწესებულებას და მოქალაქეს, მაგრამ...

გ) „თელასის“ გარშემო არის მუდმივად მოძრავი მატერიალური წრე (რომლის შესწავლამაც გვიჩვენა, რომ იგი დაელექტრობულია ახმანეთიანთა უწყვეტი მდინარებით).

დ) მაგნიტური წრის ანუ ახმანეთიანთა მდინარებას აუოლილი არიან ზოგიერთი უბნის მონტიორები (უმთავრესად) და სხვა წვრილფენობა.

ე) როგორც კი მონტიორი (ან რომელიმე სხვა დასახელებულთაგანი) მოხვდება უმაგნიტო სივრცეში, იგი წამსვე ჰკარგავს წონასწორობას, ვარდება წრიდან და ეფარება მზეს, ანუ „თელასს“, რის შედეგადაც...

ვ) ხდება „თელასის“ დაბნელება თბილისელ მოქალაქეთა ბინებში.

ზ) № მოქალაქის ბინაში სინათლის აღსადგენად საჭიროა დაუყოვნებლივ შევსება მაგნიტური წრის ცარიელი უბნისა (რაც მონტიორის ჯიბის შევსებას ნიშნავს), მაგნიტური წრის შევსების სისწრაფეზეა დამოკიდებული „თელასის“ დაბნელების ხანგრძლივობა.

„თელასის“ დაბნელების დაკვირვება შეიძლება ყველგან, გარდა მონტიორთა და მათთან დასახელებულთა თუ დაუსახელებელთა ბინებისა.

სიყვარული და პედაგოგობა

ნახ. დონისა

გადგომის მაქვს ოთახში

არი წლის შემდეგ ამხლა, ნ.ნ ტრი ჩემი გულსა, ტელეფონი მაქვს ოთახში, მე იმან გამაგულსა.

დაზიანების ბიურა ამოწმებს ხაზის იარებს, გამოგვიგზავნის მონტიორს, მოვა და დააზიანებს.

და ტელეფონი მოშლილი იწყებს ხრილს ჯა გოდებას, მართლაც ამართლებს მოხუდი ბიუროს სახელწოდებას.

ტელეფონი მაქვს ოთახში, გულში დამახო იხარი, ვისმენ და ვისმენ კონცერტებს, ჩემი რადიოც ის არა...

რით ვუქიმიო აპარატს, რომ საუბარი მედირსოს, დაზიანების ბიურა ბრალსა ხდებს მხოლოდ ედისონს.

ტელეფონი მაქვს ოთახში მოშლილი ამა გულსა, მისგან სიკეთეს ველოდა მან უფრო გამაგულსა.

კ. გოგიაშვილი



დენი არ არი დღე და ღამ, შიგ შესვლა საადვილოა, იმას ჰგავს, შესაშინებლად ზუსტ დაწერონ: სპილოა! დამსხდარან, დროს ატარებენ, ეს რაღა „სასიყვადილოა“!

თავის გაკთლება

რათ დამივირეს ბიძიაც, რატომ გამზადეს მკენესარი, ქუჩაში გამგლეულს თუ გავხდი, დანაშაული ეს არი!

სადმე კუთხეში დავდგები, გამგლეულ გამომგლეულს ვგუშავებ, მხედველობაში მიიღეთ— უჯამაგიროდ ვმუშაობ.

სასამართლოში—მმარცველი თავის მართლებას განავრძობს: მე ტყავის ბალტო გავხადე, თქვენ გინდათ ტყავი გამამპროთ?

მე თვითონ გეტყვით ყველაფერს, არა მკირდება დამცველი: ჩვენი ბიჭებიც გეტყვიან, არა ვყოფილვარ მმარცველი.

მე ეს მაწუნებს და მისთვის ვხდი გზაში გამგლეულ გამომგლეულს, უხეშად ამაზინჯებენ დვოს დაწესებულ კანონებს.

სად გავიწილა, სად თქმულა ამ მზიან დედა-ქალაქში, თბილი მაზარა ჩაიცვა, ან კალოშები ტალასში.

ფეიშეარ, დღეს რომ გამიშვათ ბნელ ქუჩას აღარ ჩავუვლი, გამიშვით, მეც მაპატეთ ეს მცირე დანაშაული.

ვაგუი მისტირი

ცენტრალური გათბობა ანუ სტუმარ-მასპინძლობა

ნაძალადევი სიცილით შემომხვდა ზემელთან ერთი ჩემი მეგობარი დოცენტი:

- თემა თუ გინდა, თემა, ამხანაგო აფრასიონ?
- იმე, მიშველენ-მეთქი—მივაყვირე.
- სწორედ სანიანგო მასალაა, აბა შენებურად გააფორმე.

შევირდი, მაგრამ ნეტავ არ შევირებოდი: ჩემს კლდეას საქმე სატირლად ჰქონია, მე სასაცილოდ, სანიანგოდ როგორ გამეფორმებინა? ძველი ქართული ანდაზა ამბობს: „სატირალს—სასაცილოდ ნიანგიც ვერ გაზღისო“. ისევე მისივე სიტყვებით ვადმოგცემთ მის ნამბობს:

სერი დაემართათ ჩემს სტუმრებს:

მოგვხსენებთ ჩვენებურების სტუმრობა. ეს საერთოდ ცნობილი ამბავია და მე არ ვარ მათი პირველი მსხვერპლი.

მომადგენენ ორშაბათს „ხელდამშვენებულები“ ისე, როგორც პიესა „სტუმარ-მასპინძლობაში“ აღწერილი.



— შენ გენაცვალე ვეტიხი, ხომ გვასახელებ ა?!— გადამხვია კარებშივე ტიმოთე და კვატურასოდენა დოქი შემომიდა ფეხებში.

— უი, შენი კირიძე, ამას ვის ვხედავ!— ცივად იწვილა ტიმოთეს უკან ფატიმ და პალტოს კალთა ოდნავ ასწია, მამლის კული გამოაჩინა სწორედ ისე, როგორც „დედაენაშია“: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“.

— „დაგტყობია, დაგტყობია“— იყვირა ფატის უკან კაპიტონმა.

— აგი ზაქაბურია ბიძია—ასწია კაპიტონის უკან ვილაკამ პატარა რაიონულ გაზეთში გამოხვეული ზაქაბური.

— ბიძია, მე ვერ მიცანი?— ჰყვირა ზაქაბურიანის უკან ჯანჯუხიანი.

— ბიძია—მეძახდა ვილაც ხელცარიელი ჯანჯუხიანის უკან.

— ბიძ...— აღარ ისმოდა უკანასკნელის ხმა. ღვთისწინაშე, სიზმარი კი მქონდა ნახული წინა-

ლამეს, ვიცოდი რაღაც უბედურება შემემთხვეოდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ააა მობრძანდით, ოთო მობრძანდით, უუუ მობრძანდით!— რაც შემეძლო ძალს ვატანდი თავს.

შემოლაგდნენ, მარა ოთახში კი არა, პირდაპირ ჩემს გულ-ბოყვეში შემოლაგდნენ.

დილა იყო, სამსახურში მეჩქარებოდა და მცირე ნაძალადევი საუბრის შემდეგ გამოვედი სახლიდან. დიდხანს მესმოდა კიბეებზე მათი გაბმული ყაყანი.

რას ემგვანებოდა იმ დღეს ჩემი სამსახური, ალბად ადვილად წარმოიდგენო. მაინც რა დროს მე-წვიგენენ ეს შეჩვენებულები, წლის ბოლოა, არსად კაპეიკი არ იშოვება. იმ დღეს როგორც იქნებოდა, გავთრევედი მათივე ჩამოტანილი „პურმარილით“, მეორე დღისთვის სად გავპარულიყავ?

— ქე მოვიხდებო—კი ვფიქრობდი ჩემს თავზე— კაცო, მაგ ტიმოთესას სოფელში გახეთქამდე რომ დათეფრი, ჩაეფსკვენი ამ მოხუცებულ კაცს ტურებში და აღარ მოეშვი:— „უსათუოდ ჩემსას უნდა გნახო თბილისშიო, ჩემი ოჯახი თუ არ ნახე თავს მოვიკლავო“— რა ეშმაკად გინდოდა, ვინ გეხვეწებოდა, რა დიდად ჭიმავედი ფეხს შენი დახურული გამნაწილებლის პატრონი!

— არა ბატონო, თბილისში როგორ შეგაწუხო.— იძახდა ის კაიკაცი.

— აჰ, მაგი არ მითხრა, შეწუხება რას ქვია, შენზე უკეთესს ვის ნახავს ჩემი ოჯახითქო—ვიკლავდი თავს—სუყველას გაბრძობებო, უსათუოდ მეწვიეთ, როცა მოგვხსნათოსქო.

ჰო და ახლა, როცა დისერტაცია დაგიცავი კანდიდატობაზე და ამის შესახებ გაზეთებში გამოცხადდა ცნობა, იმ ჩემი ცოდვით საგსებებს უფიქრიათ:— გაკეთებულა ჩვენი ვეტიხიო—და აგერ მომადგენენ კიდევ კარებზე. ახლა იწვალე და იწვევლე თავი ორ კვირას; აბა ორ დღეში ხომ არ გაბრუნდებიან.

ათასჯერ შევირებოვარ დემურთს „თუ ახლა გადავრჩი—აწი ღვინოს არ დავლევთქო“. არ შეიძლება სიმთვრალეში ვინმე არ მოვიპატიო სახლში.

იმ დღეს შინ დაბრუნებას ნავთის რიგში დგომა მერჩია.

სახლს რომ მოვალწიე, ყური მივუგდე, მეგონა მათ ყაყანს ქუჩაშიც გავიგონებდი, მაგრამ დახეთ, ბინის კარებიც ისე გავალე, სახლიდან ჩქამიც არ გამოსულა. სიზარულმა ამიტანა. ვიფიქრე: დეპეშა მიუღიათ და სასწრაფოდ გაბრუნებულან უკან-მეთქი. შევალე კარები და აგერ არიან ყველანი! ჩემს გაყინულ ბინაში ტიმოთესა და ფატის გარშემო ერთად მიყუყულებდნენ ქორისაგან დამფრთხალ წიწილებივით.

— ამისთანა მშვენიერ ბინაში ერთი ფერი რავე გაგიჭირდათ, ვეტიხი ჩემო.— მომძახხა შესვლისთანავე ტიმოთემ.— რავე, არ გეკუთვნოდა თუ ან იქნებ ან ბინას არ ეკუთვნოდა!

— ბუხარი თლათ კაი იქნებოდა, ბუხარი—შეუსწორა ფატიმ.

— აქ კედლის ფერი და ბუხარი კი არა, ყეშტის ფერაც რომ გინდოდეს ვერსად დადგამ, მილის გასაყვანი არ დაუტოვებიათ არსად ამშენებლებს—დაურთო კაპიტონმა.

— იმე, აბა უნდა სიცივით მოკვდეს ეს კაცი?— იყვირა ისევ ტიმოთემ.

— არა, ჩემო ძვირფასებო,— გავიჭიმე მე,— აი ამ მილებით თბება ჩვენი ბინა-მეთქი—და ცენტრალური გათბობის მილებზე მივუთითე.

— კი მარა, დეკემბერი ქე თავდება და აგვისტოში მილები რად გინდა.— შემოუშვი მზე და გათბებით—ჩაიციანა ტიმოთემ.

გავჩუმდი, რას ვეტყვოდი. ამ კაცს ამდენი მოსაზრება მაინც ჰქონდა, ჩვენს სახლმმართველს იგიც არა აქვსთქო—ვიფიქრე.



იმ დღეს ღვინით შევხურდით მამაკაცები. ქალებს კი ყველაფერი დავაყარეთ თავზე, რაც ოჯახში გამაჩნდა, ძლივს გავათბეთ. მეორე დღეს კი გალურჯავდნენ ავტომატებივით არახუნებდნენ კბილებს.

— არა, ძმაო, ჩვენ აქ არ დავგვედგომება, როგორმე გვიშოვე უკანვე ბილეთებით.

ქვა გავგვთქე და ბილეთები გავუჩინე.

ასე გადამარჩინა ცენტრალურმა გათბობამ, ჩემო აფრასიონ, ორი კვირის ხარჯებს. ორ დღეში გავსტუმრე უკანვე. ეს შემთხვევა პირველია ჩვენებურ „სტუმარ-მასპინძლობის“ ისტორიაში და აბა შენ იცი როგორ ლამაზად გააფორმებ ამ ამბავს „ნიანგისათვის“.—სიცილით დამთავრა ჩემმა მოსაუბრემ.

— წავიდნენ?— შევეკითხე პატივცემულ დოცენტს.

— წავიდნენ, კაცო, წავიდნენ.

— შენ დარჩი?

— აბა, მე სად წავიდოდი?— მომიბრუნდა იგი გაოცებული.

— შე კაი კაცო, მერე რა გაქვს სასაცილო და საზნარულო შენი გაყინული ბინის პატრონს?— შევხითხითე პირში გულახდილად.

— სად ცხოვრობთ?— ვკითხე ბოლოს.

— ვაკეში, მარის ქუჩა № 17.

აზრასიონ კინეზოკიზვილი

ცენტრალური გათბობა ანუ
 აუცილებელია ყოველდღე დათბობა,
 თუ ბინაში არსებობს ცენტრალური გათბობა.
 თვეში ერთხელ თუ გათბა, სახლის მმართველს მადლობა,
 დღი შელავათია, უღიღესი დათბობა.

ანბა პოლიპარტელეუ

(მარტიალი იბაზ-არაბი)

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ფართო მოხმარების საგნების დამზადებელმა ორგანიზაციებმა ვერ გარდაჭმენ მუშაობა ისე, რომ მოქალაქეს შეეძლოს ფართო მოხმარების „წვრილმანის“ შეძენა.

ერთხელ ყანჩას ერთი წვრილი სერვიგად შეუყვარდა, რომ გზა ველარ გამოიხანა მან ოჯახის შექმნის გარდა.

გაუმხილა ხვაშიადი, ბოლოს „ხაგსშიც“ წაიყვანა, მაგრამ სტუმრებს—თუნდ უბრალოც ვერ მოუწყო არიფანა.

არც ჭურჭელი, არც ავეჯი ვერ არ ჰქონდა ახალ წყვილსა, და იმავე დღეს წვრილი ყანჩას დარიგებდა აძლევს ფრთხილსა:

— „მე ნერვები ამეშლება — შენი ქცივის გადამკიდეს, თუ კი რჩენა არ შეგეძლო — ცოლშვილს რისთვის მოეკიდე?

ტელეფონი რომ არა გაქვს, არც ავტო გყავს საკუთარი — გურიგდები, მაგრამ რას გავს, რომ არა გაქვს ინვენტარი?

საწოლები ხომ გჭირია, სუფრა—ცისფერ არშინი? უნდა გითხრა, ჩემო კარგო, ვერ ყოფილხარ შანსიანი

და თუ მალე არ იშოვე, თავზე მეზად დაგყვრები, თუმც ძვირი ღირს ახლა გაყრა, მაგრამ მაინც დაგყვრები.

პატარაძლის საყვედურმა ყანჩა ძლიერ შეარტყვინა, გრძელ ნისკარტით საკმარისად გრტელი სია შეადგინა:

და მეორე დღეს, ადრიან ყანჩა მარჯვედ ახტა-დახტა და მიადგა კოოპარტელს, მიღების დრო როცა გახდა:

ერთ არტელის ერთ დირექტორს მიმართა, არ დააყოვნა: — ორი ტახტი მსურს ვიყიდო, — თქვენთანა მაქვს მე ეს თხოვნა.

დირექტორმა გაიღიმა, ზრდილობა არ დაივიწყა, მთხოვნელს თვალი გადაავლო და დაბალ ხმით ასე ჰკითხა:

— „სხვა რამეც ხომ არა გნებავთ? ყანჩას უცბად მიხვდა ლხენა და საკმაო მოკრძალებით მან დირექტორს მოახსენა:

— როგორ არა? ვერ შეგკადრეთ, თორემ რა მაქვს თხოვნის მეტი?

არც მაგია გამაჩნია, არც სკამი და ტახტურები,

იქნებ ორი თეფშიც მომცეთ, თან უბრალო ლამფის შუშა, რომ „თელასი“ როს დაგვკრულავს — შინ არ დავრჩეთ ბაიყუშად,—

ერთი წყვილი ჩაის ტიქა, ერთი ცალი სავარცხელი, თან იქნება ჩოთქიც მომცეთ, რომ გავწმინდოთ ტანსაცმელი!

ორიოდე ნემსიც იყოს, კბილის ჩოთქიც ადგილმრეწვის, ისეთი კი—როცა ვინმართ არ აგვივსოს პირი ბეწვით!

ვით მთავარი ინვენტარი — ნავთქურაც არ დაივიწყოთ, თუ არა და ნავთქურისთვის პატრუქები მაინც იყოს!

წვრილმანია, მაგრამ ვიცი, ამ წვრილმანის მოწოდება, თქვენ არ გაგრჯით, რადგან ეს აქვს თქვენს არტელებს—მოწოდებად!

— : —

კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ყანჩას გულის ფეთქვა შეუჩერდა რომ ესთქვა სწორი: თითქოს ვეფხვმა დაჰკრა ტორი, როცა ნახა, რომ ჩუმჩუმად იცინოდა დირექტორი.

იცინოდა, კუჭკუჭებდა, და თვალბეში მიმალუა, იმ ეშმიში ყანჩასადმი ჰქონდა რაღაც სიზრალულიც.

ყანჩა უტყერს, ფიქრობს, ჰკვირობს: „რას იცინის ოჯახქორი, რომელიდაც სისტემაში მყოფ არტელის დირექტორი?

განა რა ვთქვი სულელური, უჭკუო და სასაცილო. ტახტი ვთხოვე, სკამი ვთხოვე და მაგია სასაიდილო!...

გადსინჯა გონებაში, ფიქრს არ მისცა ამა შეგბა რაც სთხოვა და რაც მათს არტელს წესად უძვეს გამოშვება,—

არაფერი უადგილოდ, ყველაფერი უთხრა სწორი,

მაშ ამდენხანს რას კუჭკუჭებს „შირპორტების“ დირექტორი?

— რას იცინით?—ჰკითხა ბოლოს, მიჩანს რამე, მცნია რამე? ან იქნება შემამჩნიეთ უადგილო სითამამე?

— ო, პირიქით, რასა ბრძანებთ! — უთხრა ყანჩას დირექტორმა: თქვენ სუფთაა ხართ, მორცხვიცა ხართ ზრდილობაც გაქვთ მთელი ნორმა.

თან ამასაც გეტყვი მტკიცედ, რომ პატივს ვსცემ დიდად ყანჩებს, „შირპორტების“ მეტ ფასსა ვსდებ მათს გრძელ ნისკარტს, ფრთებს და განებებს.

მაგრამ რაც თქვენ მოითხოვეთ, ოცნებაა გულუბრყვილო, ფართო მოხმარების ნივთებს აქ რად ეძებ დალოცვილო?

— განა თქვენ არ გვეალებათ ამ ნივთების დამზადება? — გვევალება, რა თქმა უნდა! — მაშ დაცინვა რად გვირდება?

— არა, ძმაო, ვინ დაგცინის, მე იმაზე მეცინება, რომ შენგვარი მსურველების ბევრჯერ გვიწევს გაწბილება, მაგრამ მაინც თქვენი რიცხვი ჩვენს არტელში არ მცირდება,

როგორც ყანჩას, გულანდილად გეტყვი — თუმცა მეხატრება, რომ ამგვარი წვრილმანები — თვითონ ჩვენვე ვვენატრება!

— : —


ყანჩას გული აუკვნესდა. არტელის გადამკიდეს, საბურთალოს მიაშურა, აბა სხვაგან სად წავიდეს?

იქ იშოვის ჩიტის რძესაც, არტელში თუ მზადდება, მაგრამ იცის, ყველაფერი ასმაგ ფასად დაუჯდება,


ასე არ ქნას, რა ილონოს, ხომ სიმწარეს გადყვრება? თუმც ძვირია ცოლ-ქმრის გყრა, წვრილი მაინც გაყვრება.

ფარსადანი





1. შაბათს სამუშაოზე შიდაღეს



2. კვირას მუშაობა დაამთავრა



მეუღლი - ბატონის ქაშია



(მიხალკოვისძეგრი)

რამდენხანა ეძებდნენ
ტყეში და წვიშაში,
რამდენჯერ აიკლეს
მხეცების ბუნაჯი,
და ეხლა წამდგარა
სახსჯავროს წინაშე
მგელი, — ენ მთავარი
ქურდი და მსუნაჯი!

* მას წამოუყენეს
ათასი ბრალდება,
დამცველნი არა ჰყავს,
არც — თანამოძმენი,
ძარცვა და მკვლელობა
დღითი-ღამე მრავალდება,
ფაქტს ადასტურებენ
ამ საქმას მოწმენი:

აქ ძროხა დაგლიჯეს,
ჩახანსღეს ერთბაშად,
ექ ლეღას მოსწყვიტეს
საწყალი ბატკანი,
აქ ცხენი დაახრჩვეს,
შეიპყრეს ჯაშატი,
შკლის კბილებს არ ახცდა
არც ერთი მათგანი.

ქლივის მორჩინე შეკვირვას
და შეკაშაობას,
ბკეთი კი შეუდგა
თავის გამართლებას:
თუ გინდათ სიმართლე —
აღამის დრეჯიდან,
ჩვენ, ჯვითონ, ვანვიცდით
დევნას და წამებას,

მტრობის მეტს, უფროს მეტს
აბა, რას მოიტანს
ამდენი სიცრუე
და ცილისწამება?
თუ სადმე ცხვრის ფარას
გაეჭვა წალისით
უპკულო ბატკანი
და მწყემსიც მოგრაღია,
თუ სადმე წავა და
მოკვდება თავისით
ან ძროხა, ან ცხენი,
რა მგლები ბრაღია?
ჩვენ, დიდი ხანი,
სისხლი არ გვახარებს,
მე თვითონ, პირადად
მძულს, როგორც ტალახი,

ხორცი ხამ გულს მირევს,
კბილს ალარ ეკარებ,



ღღებს ჩვენი სუფრაა
აღმა და ზაღასი.

მგლებს ეს პირება
გახლავთ უჭტიცესი,
თუ ვინმემ ზრწოლა და
ხისხლო-აღვრა გამართა,
რა ვუყოთ? ეს ხდება
თავდაცვის მაწეზით,
ვენდობი მსაჯულთა
ხინდის და ხამართალს..

და სახამართლომაც
ჩახვალა მხილებად
მგლის მთელი ჩვენება
ყალბი და უბედური,
მოიხსნა სახეული
და გახაფრთხილებლად
მგელს გამოეცხადა
მხოლოდ ხაყვედური:

რადგან დაუგმია
ძველი ჩვეულება,

ხისხლოთ და ცხვრის ხორციით
მგლებს წვეულება...



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მას შემდეგ, ღღდა თუ
სალამოს უამია,
ცხვრებიც და ძროხებიც
უკვალოდ ჰქრებიან,
მგელი კი, თითქოს-და
ბალახისქამია,
არც ბაღჩახ, არც ზოხტანს
არ გაჰკარებიან!

რა ეთქმის ამნაირ
სამსჯავრო კრებასაც,
რომელიც უკითხავს
მგელს საზარებასა?

ალეო მამაშვილი

როლის მხარეა

შლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში 1944 წლის საშობაოდ ბევრი პატიმარი ჩამოახრჩეს. ამავე დროს იქვე გვერდით იდგა მორთული საშობაო ნაჭვისხე და ერთმა პატიმარმა სთქვა: „რა საშინელი კომბინაციაა—აქ სახრჩობელაა აღმართული, აქვე კი საშობაო ნაძვისხე“.

(გაზეთებიდან)



მთავარი გვიჩვენებს სახმადგრო დამნაშავენი:—რა საშინელი კომბინაციაა
—აქ ჩვენთვის სახრჩობელაა აღმართული, აქვე კი საშობაო ნაძვისხე!..

საღლისო

სახდამართველა

რომ მიგიშვან სახდამართველო,
არ გეყოფა საქართველო.

მენავთეა

რომ არ ქაფოს, ნავთს რა უყოს,
სარდაფი აქვს ერთი ციდა...
რაც ეს კაცი მენავთეა,
ნავთი იქცა დეფიციტად!



აკვადის უჯროსა

ეს არც ბაზრის უფროსია,
არც სახდების მმართველია,
წყარო მისი გამდიდრების
ერთი ხეტყის არტელია!

შოჰარა

ეს ცხვრება შამფურია,
მადა გქონდეს მთავარია,
თუ ხადტურას სხვას არ უყოფ,
შეგემთხვევა აგარია!

წიგნიდან-თბილისამდე



- ეს გოგონა ბაგაუში ვერ მიეცე?..

- ეს წამთიკი უსაზღვრად, სიცოცხლეში იგი-ი გადგება...

- მზე აქეთ იქეთ ხსნ დაუბეჭები, შვი საყოფავე, ერთი ფანჯრისიანი ჯუბა ვერ ამოიხრე?

- ეკო, მიხლო, ექსფლუთიანი გოგონა რა უყავი, ვაშლი ბრ ამოვფლადლონი...

ესავე ვერცხვებისა კიდევ უფრო თან დაეუბნონ!

- ას რომანეს გამთ- უცდობა, მე იმ დროს უქსახით ვიმგზავნი, აქ ახალგაზრდას და აქ ხსნ იზამენ...

ხომ არ გაგვყვიან?

- ბოდიში, ხვევითი მამა რაიხა?

- ბატონო, ჩანს ვარაუდებდხარ, მე რომ დავლოვ ხოლომე მაშინ ვახ სიმღერის ვაწარმოებ და თქვენ ხს დაგემახათ?!..

- სად ცხოვრობ?

- დღე ბაზარზე, ღამე მაცხატებებში...

- ეს ვუბნე ჩემი, აქეთ ოთხი ახ შემითანხმდა, დასაუბრებელი, მესამეში ოთხი ნაღობი, დანა- ჩინებს ბოლოებზე ავტ...


- დაქვედრდა შენს სახლში და ახლაც ავლოანი იქნებოდი...

- სანამ მქონდა თულები, მამაე მოხსნა- აუღებო...

გ. კახიანი 457

ლაგოდეხიანი მოწვევა

ზუგდიდიანი ენგურამდე



ფრიალ მომეწონა, ნიანგო, შენი განზრახვა ლაგოდეხში ჩამოსვით...

თავგებობის დადგენილება

ლაგოდეხის პედკაბინეტში ვერავის ნახვ. სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იგი დაკეტულია.

იქვე ნახვ წერის დედებს და მეთოდურ თვალსაჩინოების მასალებს, რომელშიაც მშვენივრად მოწყობილი იჯახები აქვთ თავგებებს.

მაგრამ შემთხვევით მათ მოუსმენიათ ერთი ლექსი: კანდელაკი მაინც იმკის, თუმცა არ დაუთესია.

ჩვენი ტელეფონიდან

მოხვალ თუ არა ლაგოდეხში, შეიძლება დაგვირდეს რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელთან ტელეფონით ლაპარაკი...

შენ: მალაპარაკეთ შრომის სახელობის კოლმეურნეობასთან! ის: „ნე ოტეჩაეტი!“ — მიიღებთ პასუხს პაუზის შემდეგ.

ზუგდიდიანი ენგურამდე არის ხუთი კილომეტრი, მაგრამ... ბედმა ამ ვით წახვალა ნულარ შეჩახვედროს მეტი მკვ, გაამბობთ: სადღურ ზუგდიდს ვიხტუმრე და შეცა ელდა, უკუნეთში მოვხვდი, მძებო, თუ თვალეში დამახვლდა?

მგზავრის გუნდით არის ხვეცი, და ფეხმორთხმით, ხელმწიფურად მშვიდად სხედან იაჯაქზე...

ტაბილი სანახაობანი

რა თქმა უნდა, ლაგოდეხში ყოფნის დროს მოისურვებ კულტურულ გასართობების დათვალეირებას: ალბად თეატრი დაგაინტერესებს...

შენაბუკარ გააბნაკი


საშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზზე მომრავ ხაზაღბო. მატარებლის ზოგადრთა ვაგონი ხაზაფხულთა, სილთა რომელიც ხაზამართა ვაგონებია, ფანჯრები ჩაღე-წილი აქვს. ცივა.

ლაგოდეხის რაიონის სოფ. კალინოვკის, კალინინის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ ენმარება დემობილიზებულ წითელარმიელებს...



ინსტრუქტორი: კოლმეურნე სომხიშვილი ხომ დაბრუნდა ჯარიდან, რატომ არ მუშაობს კოლმეურნეობაში? კოლმეურნეობის თავმჯდომარე: — ხახლი ღამის თავზე დაწვრებს, ხად სცალია კოლმეურნეობაში ხამუშაოდე?

ლაგოდეხის სოფლის კოლმეურნეობის წევრის წყალი ჩამოდის და პროდუქტებს აფუჭებს.



მომხმარებელი (გამყიდველს) — რას შერჩეო მე შაქარი მეკუთვნის, თქვენ უფასო მაქონია? გამყიდველი — არა, ეს შაქარია, წყუხელ წყალი ჩამოსულა და დაუხვედებია, გააწვრთ და წამდეილ შაქარს მიიღებო.

გაღი მართი მანობისა

ფატალისტობას ნუ დაგვემბეზნ. ბედის- წერის არაფერი გვეჯერა. მაგრამ ცოდვა აღიარებული სჯობია: ცხოვრებას რომ აკვირდება კაცი, ადამიანთა პირად ბედში განსხვავებას პოულობს. ზოგის დაბადებაც სასიქადულოა, აღზრდა და ცხოვრებაც წინიანი და ლაზათიანი. წარმოიღვინეთ: ზოგის სიკვდილიც კი ლამაზია... ზოგის კი პირიქით... ეს ადამიანებში. მაგრამ ნუ იტყვი: თურმე თავისებური ბედი ჰქონიათ უსულსა საგნებსაც. აქ ერთი შენობის ბედზე (უფრო სწორად უბედობაზე) უნდა გაამბოთ.


ქიათურაში ნინოშვილის ქუჩა მთავარ ქუჩად ითვლება. ამ ქუჩაზე იყო შენობა № 63. შეაბედიანი გამოდგა ეს შენობა. ჯერ იყო და კედელი დაუზიანდა, გვერდზე გადმოიჩინა. საქალაქო ვახუშთმა შენობას უწინასწარმეტყველა: თუ არ მოგხდეს— დაინგრევი. ვახუშთს „ენამ უყიელა“: შენობის კედელი გადმოიჩინა. ჩამონგრეულ კედლის რაიონი „აკრძალულ ზონად“ გამოაცხადეს, და იქ გავლა მართლაც სახიფათო იყო. კარგა ხანს გამოიყურებოდა შენობა ამ მდგომარეობაში. ბოლოს, როგორც იქნა, კედელი ააშენეს...

მაგრამ უბედობა მტერს დასჩემდა, წელს პირველი თოვლი საკმარისი აღმოჩნდა, რომ შენობა დანგრეულიყო. ახლა დანგრეული კედლები და რჩა ბედუკულობითი შენობის ადგილზე.

აბოღრაფი და მიუღებელი საკონსტუმი

უცხოეთში არის ასეთი ჩვეულება: აგროვებენ ცნობილ ადამიანთა ავტოგრაფის კოლექციას. ჩვენში ეს ჩვეულება მაინც და მაინც გავრცელებული არ არის, მაგრამ ზოგჯერ

აგზორაუკის საკონსტრუქციონის ნაკვში



— შენ საიდან გაჩნდი მაგ კასრში, დგინოს ჩაჰყვივი?

— არა, შენ რომ დგინოში კრიხულას წყალი ჩაახსი, იმას ჩაყვივი.

ჩვენდა უნებლიედ იქმნება ხოლმე ასეთი კოლექცია. აი ერთი პატარა მაგალითი:

ინჟინერი ამხ. გ. ბ. ექვსი წელია მუშაობს ქიათურაში. მარგანტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაში დიდძალი ქსოვილები ძიილი. ინჟინერ გ. ბ.-ს არ შეეგდა წილი ამ ქსოვილებიდან. მან განცხადებით მიმართა მმართველს. მმართველმა წააწერა: „ამხ. ხაქალიას (მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი) ვაეცი საპალტოე ამხ. ბ.-ს ტალონებზე ან საკოსტუმე“.

ინჟინერი ამხ. ბ. იმავე დღეს ამხ. ხაქალიასთან მივიდა. ამხ. ხაქალიამ განცხადებას წააწერა: „ამჟამად რაც მივიღეთ, უკვე ორი დღე არის გავცეით, ამ თვეში მიიღებთ, ელემენტობით ახალი პარტიას“.

გავიდა თითქმის ერთი თვე. კვლავ მიიღეს ქსოვილები. ინჟინერმა ამხ. ბ.-მა კვლავ მიმართა ამხ. ხაქალიას. ამ უკანასკნელმა თავის მოადგილეს მისწერა: „ამხ. მოდებამდეს. საკოსტუმე მატერია ერთი მიეცით ამხ. ბ.-ს, თუ ასეთს ვასკემთ ჩემი ჩამოსვლამდე“.

კარგი ხანი გავიდა. ქსოვილების განაწილება მოსწერეს და წაღებაც. ამხ. ბ.-მა კვლავ მიმართა ამხ. მოდებამდეს. განცხადების წინა გვერდზე წარწერისათვის ადგილი აღარ აღმოჩნდა და ამხ. მოდებამდემ მეორე გვერდზე წააწერა: „თქვენ ორსის მიერ მოგვცათ საკოსტუმე განაწილებით, მაგრამ როგორც ირკვევა წაუღია განაწილების გარეშე კაპიტალურ განყოფილებას“.

და ასე. მიწერ-მოწერაში ამხ. გ. ბ. უკონტუმოდ და უბალტოდ დარჩა, მაგრამ უცხოეთის ჩვეულებისამებრ ავტოგრაფების კოლექცია შეაგროვა. სამწუხაროა, რომ ეს მაგალითი გამონაკლისი არ არის.

ბრძანება № 102

ეს იყო 5 ნომბერს. მარგანტრესტის ავტოტრანსპორტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. წერეთელმა დასწერა ბრძანება № 102. შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ბრძანება. ამიტომ უცვლელად მოგვყავს იგი. გვენდეთ, რომ ავტორის სტილი და მართლწერა ყველგან დაცული იქნება.

„დისპეტერი ვარული ბრეგვაძე ყოველთვის გულგრილად და არა კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობის შესრულებას. რაც გამოიხატება: არა სათანადო ყურადღებით, აღნიშვნა მანქანების მოძრაობისა (მანქანის გარეხიდან გასვლა ან დაბრუნება) ხშირად მიტოვება სამუშაო ადგილისა, მანქანის არა დანიშნულებისამებრ და ძმა-ბიჭურათ, ყოველთვის ფარავდა და არ ამხელდა შოფერის დანაშაულს და სხვა, რისთვისაც მას მრავალი გაფრთხილება ეძლეოდა როგორც დირექტორის მიერ, ისე ჩემ მიერაც. დისპეტერმა ვარული ბრეგვაძემ არამც თუ არ ეცადა გამოეწვრობინა თავისი მუშაობა, არამედ თვალსაჩინოდ, რომ თანდათან უფრო ცუდათ მუშაობს 5/XI—45 წ. მიმდინარე წლისა ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას, შოფერი აბაშიძე გაგზავნილი იყო სამუშაოთ ერთ რეისზე, დისპეტერს მივეცი განკარგულება რომ აბაშიძე რომ დაბრუნდეს გაგზავნე სამუშაოთ მაღ. № 31/33-ზე როდესაც შოფერი აბაშიძე გარეშე დაბრუნდა, დისპეტერმა ბრეგვაძემ ის გაგზავნა არა მალარობებზე, არამედ გაატანა მანქანა, ვილაცას, ნახვრის გადასატანათ. რი-

ქ. დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშ. სკოლას ამშენებელს ქართვლ... მწერლების სურათები, გარდა თვით ვაჟა-ფშაველას სურათისა.



ვაჟა-ფშაველა: იქნება ამ ჩემს სურათსაც დაუთმეთ ერთი კუთხე!

თაც ხელი შეუშალა წარმოებას. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ვბრძანებ: დისპეტერი ვარული ბრეგვაძე მოხსნილი იქნას თანამდებობიდან მიმდინარე წლის 6/XI-დან და ვინაიდგან მისი შესაფერისი სხვა სამუშაო გარეშე არ არი გადგზავნილი იქნას მარგანტრესტის კადრების განყოფილების განკარგულებაში.

ავტო-ტრანსპორტის მთ. ინჟინერი: გ. წერეთელი. საქ. მმარ. მ. ჩაგანავა.

ამ „ბრძანებას“ „ალილოუა“ აკლია. სამწუხაროა, რომ მას ხელს აწერს ინჟინერი უმაღლესი განათლებით. მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება. ათი დღის შემდეგ იგი მეორე ბრძანებას სწერს. აი ესეც:


ბრძანება № 110

„შეიცვალოს ჩემი ბრძანება № 102 დიპეტერ ვარული ბრეგვაძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ შემდეგნაირათ: ბრეგვაძე ვარული აღდგენილ იქნას თანამდებობაზე მიმდინარე წლის 16/XI-დან. უკანასკნელი გაბრთხილებით თუ ის არ გამოასწორებს თავის მუშაობას მასზე მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.“

გ. წერეთელი. ამ დროს გარაჯის დირექტორი მოვიდა. მან ახალი ბრძანება დასწერა. დისპეტერი გ. ბრეგვაძე აღდგენილ იქნა; ძალიან ჰყვარებიათ აღნიშნულ ამხანაგებს ბრძანების წერა, წაკითხვა და დახვევა. ალბათ დიდ სიამოვნებას ღებულობენ ასეთი ვართობისაგან.

აბსიოდამ

„ირანში ცნობილ რეაქციონერ სეიდ ზია-ედ-დინის აგენტები აღვივებენ პროვოკაციულ ეროვნულ მუდლს აზერბაიჯანელ და ირანელ მშრომლებს შორის. სეიდ ზია-ედ-დინის პროვოკაცია მიმართულია ირანის აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ.“



ყარა-ჰუსეინის უყვარს განცხრომა. მას მუდამ იზიდავს ირანის მცხუნვარე მზე და ვარსკვლავიანი ლურჯი ცა, ფართო ვაკეები—ზოგან გადატრუსული მინდვრებით, ზოგან მწვანე ლანდშაფტით, წყაროებით, ტბებით, ან მოშრიალე ლერწმებით. ყველაფერი ეს ძალიან უყვარს ჰუსეინს.

შადრენებიც უყვარს ყარა-ჰუსეინს. მაღალი, ფერადი ქვებით მოოჭვილი მინარეთის გადასწვრივ რომ აბანოა, იქ ხშირად დადის, რომ მის აუზებში უსმინოს ჰაერში ბროლებად ატყორცნილ და იქიდან ლარნაკზე დაყრილ მარგალიტებით მორაკრაკე წვეთების ხმაურს.

მოსწონს ყარა-ჰუსეინს ირანის ქალაქების აზიური უბნებიც. მის ქვაფენილებზე ხშირად დააბაკუნებს მოგვირისტებულ ქოშებით, ხელში კრიალოსანი უჭირავს, მარჯვენა ცერით ითვლის გიშრის მარცვლებს, ჩაათავებს და კიდევ ითვლის და ასე დაუსრულებლივ.

სტკბება ყარა-ჰუსეინს წითელ-ყვითელ, ნაოჭიან კაბებში გამოწყობილ, ტკბილად მოყდრუტულ ქალიშვილების საუბრით. ხანდისხან იგი ეშმაკურად გადახედავს თვალგომერა გოგობიქს, კმაყოფილებით ჩაიციინებს და იტყვის:

—ვალლა, კარგია, ძალიან კარგია ჩვენი

ირანი, ზოგი ახალი წესიც კარგია, მაგრამ ჩვენი ძველი ადათები სულ კარგია, ყველაფერი კარგია.

—ყარა ჰუსეინ, — ეკითხება მას ნაცნობი, —აი, ახლა რომ ეს მიღეთი ფორიაქობს, რა აზრისა ხარ?

—მე მიხარია, — მიუგებს ჰუსეინ, — ძალიან მიხარია...

— რა გიხარია ყარა-ჰუსეინ?

— ის მიხარია, რომ ასე წყნარად და განცხრომით ვცხოვრობდით ამ ომიანობაში, კარგი მეზობელი გყავს, მშვიდი მეზობელი გყავს.

—ვის გულისხმობ, ყარა-ჰუსეინ?

— ჩვენს უახლოეს მეზობელს ვგულისხმობ, საბკოთა კავშირს, — მუდამ კარგს რომ გვიკეთებს, გვეხმარება. ბევრი სიძნელე დავსძლიეთ მისი დახმარებით.

— მართალია, ყარა-ჰუსეინ, მისი დახმარებით ჩვენ კულტურისაკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით.

— მეც მაგას ვამბობ, — აი, ვუყურებ ჩვენს გაღამაზებულ ქუჩებს და მაგას ვფიქრობ, ვხედავ პრიალა მანქანებს და მაგას ვფიქრობ, შევდივარ მაღაზიებში, ვყიდულობ მოსკოვეურ კარგ საქონელს და მაგას ვფიქრობ. ერთის სიტყვით, ხშირად ვფიქრობ.

— მაშ შენ კულტურისაკენ მიხრუნებულხარ ყარა-ჰუსეინ?

— ძალიან მივბრუნდი, ჯათარ-ყული, ძალიან მივბრუნდი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მომბეზრდა ძველებური საქმელები და ჩემი დარდი ახლა ესლა არის.

— მაშ გემოვნება შეგიცვლია, ახალ კულინარიას მიეღები?

— ახალს, ჯათარ-ყული, ახალს, სხენაირს.

— ჰო-ოო! ეს სხვა საქმეა, მაშ დაფიქრდი. ყარა-ჰუსეინი დაფიქრდა, ღრმად დაფიქრდა.

სახლში ბრუნდებოდა ყარა-ჰუსეინ, კრიალოსანზე გიშრის მარცვლებს თვლიდა მარჯვენა ცერით და რაღაც საკვირველს ფიქრობდა.

* * *

როგორ მოხდა, რატომ მოხდა— არავინ იცის, მაგრამ ყარა-ჰუსეინმა ახალი კულინარები მიიწვია სახლში.

და დილით, ერთ დილით, როცა ყარა-ჰუსეინი საზარეულოში შევიდა, კულინარებს შეეკითხა:

— დღეს რას აკეთებთ ბალამ? ყურბანოლუმ, თირკმელები მტკივა, ხველა მაქვს ვალლა, მაგარი ხველა მაქვს. როგორი კერძი მომიხდება?

მზარეულებმა თავი მდაბლად დაუკრეს და უთხრეს:

— ალლახი სწყალობდეს ჩვენს ყარა-ჰუსეინს, რომელიც მეჯლისში სეიდ ზია-ედ-დინად იწოდება, ალლახი სწყალობდეს, მას ახალი, მჩქეფარე სისხლისაგან დამზადებული პაშტეტი მოუხდება, აზერბაიჯანული ქუფთის ტიფტილი არგებს, შამშეკური ფითი და ბულდამა ესაღბუნება! ხომ არ გვიბრძანებს ყარა-ჰუსეინი ასეთი კერძები მოგვმზადოთ?

ყარა-ჰუსეინმა, რომელიც მეჯლისში და ირანის ერისკაცობაში სეიდ ზია-ედ-დინად იწოდება, ეშმაკურად გაიღიმა სისხლის ხსენებაზე, თვალბეზრით ხარბი სიმსუნავე აენტო და სთქვა:

— ვალლა, კარგია, ძალიან კარგია, ძალიან მომიხდება, მაშ აამუშავეთ საზარეულო, — ოღონდ ისე კი, რომ არ გაიგოს ჩვენმა მეზობელმა, კარგმა მეზობელმა, თორემ ცოტა უხერხული გამოვა.

მზარეულებმა თავი მდაბლად დაუკრეს და აამუშავეს ყარა-ჰუსეინის საზარეულო.

ესე იგი მისი წაქეზებით ირანის ქვანახშირის მაღაროებში მისმა დაწინდულმა აგენტებმა დაიწყეს ირანის აზერბაიჯანელ მუშების სისხლისღვრა, დაერიენ, გააჩაღეს ძმათმკვლელობა.

ყარა-ჰუსეინი კი, რომელიც მეჯლისშიც და ერისკაცობაშიც სეიდ ზია-ედ-დინად იწოდება— ჰყნოსავს ამ სისხლის ოშხივარს, კრიალოსანს ცერით მარცვლავს და გაიძახის:

— ვალლა, კარგია, ძალიან კარგია, სულ კარგია!..

ვითომ? ჩვენ კი გვგონია, რომ ეს დიდათ ავენებს მის თირკმელებს.


გახვილაკი

თეატრის ადმინისტრატორთან

ნახ. რ. რევაზიშვილისა



— ბოდიში, თეატრში შესვლისას პალტოს უსათუოდ სდიან?
— თეატრში შესვლისას არა, მაგრამ თეატრიდან წასვლის შემდეგ რა მოვახსენოთ!..



ისე მიყვარხარ ლამაზო,
როგორც თხას ქორთა ნეკერი,
შენ გენაცვალოს კუკლავან,
ეს ჩემი სტუდენტეკერი.

ქალო დამიტკბი, დამიტკბი,
თაფლი წააცხე ენასა,
მარწყვის ტუტებში გაკაღებ,
შენი დედ-მამის ლზენასა.

შენი გულსთვის ხალტურას
ვუმატებ ერთი ორადა,
ტკიცინა ათთუმნიანებს
თვალწინ დაგიწყობ გორადა.

ტანზე ატლასი გვტყევა,
ბროლის ფეხებზე—ლაკები,
ხამთარში სტკეპნე თბილისი,
ზაფხულში აგარაკები.

ესლა ტრამვაით დადიხარ,
გტანჯავს შიგ ხალხის ტორტმანი,
იქ ხან ბერეტი მოგტაცეს,
ხან ფულით სავსე პორტმანი.

მე კი მანქანით გატარებ,
შენთვის კაბინა მზად არი,
ვერ შეაფერხებს ჩვენს წინსვლას
თოვლი, წვიმა და ავდარი.

სახლში როიალს დაგიდგამ,
შემოგთავაზებ სავარძელს,
სალამოს გატყევე ტაფამწვარს,
დილით მოგართმევ ყავა-რძეს.

მეტი რა გინდა, მითხარი,
კიდევ რა შემოგთავაზო?
ჭიშკართან გვიცდის მანქანა,
ჩაჯექ, წავიდეთ, ლამაზო.
ვახტანგ ძნელაძე



— ეს კაცი ქიმკომბინატში მუშაობს.
— ქიმიკოსია?
— არა, ქიმიკოსები სხვები არიან, ეგ—ქიმკომბინატორია.

ინგლისური იუმორი

ლოკების თქვა

ერთმა ფერმერმა, რომელსაც ოცი ლარი ჰყავდა, თავისი მსახური ერთხელ ლორების დასათვლელად გაგზავნა, თანაც დაავალა ენაბა ყველაფერი რიგზეა თუ არა. მსახური დარცხვენილი დაბრუნდა ნელი ნაბიჯით.

—რაო?—სთქვა ფერმერმა—ყველაფერი რიგზეა?

—აჰ, ჩემო ბატონო, მე დავთვალე ცხრამეტი, მაგრამ ერთი პატარა გოჭი ისე სწრაფად დარბოდა გარშემო, რომ ვერაფრით ვეღარ მოვახერხე მისი დათვლა.

მეუბნები იშვიათი

ინგლისის მეფე ჯორჯ პირველი, ერთხელ, ჰანოვერის სამეფოში მოგზაურობდა და ერთ ჰოლანდურ სოფელში შეჩერდა. ვიდრე დასვენებულ ცხენებს მოჰკვირიდნენ, მეფემ მოითხოვა ორი ან სამი კვერცი. კვერცხები მოიტანეს, მაგრამ ფასად ასი ფლორინი მოითხოვეს.

—ეს როგორ მოხდა?—იკითხა მეფემ,—ამ ქვეყანაში უთუოდ კვერცი იშვიათია.

—მაპატიეთ,—უპასუხა მასპინძელმა,—კვერცი აქ საკმაოდ ბევრია, მაგრამ მეფეებია იშვიათი.

შიგნით და გარეთ

ძველ დროში, როდესაც ხალხი დილიჯანსებით მოგზაურობდა, იყო ერთი მსუქანი კაცი, რომელიც ედინბურგში ცხოვრობდა. იგი მიემგზავრებოდა ასეთი საშუალებით: ორ ადგილს ყიდულობდა, რათა თავისუფლად მჯდარიყო. ერთხელ იგი გლასგოში მიემგზავრებოდა და თავისი მსახური გაგზავნა ადგილების შესაძენად. როდესაც მსახური დაბრუნდა, ბატონს მოახსენა:

—უკაცრავად, ბატონო, შიგნით ორი თავისუფალი ადგილი არ იყო,—ამიტომ მე ავიღე ერთი შიგნით და ერთი გარეთ.

მეხინიკა და სიბიძე

ამბობენ, ერთმა მდიდარმა ჰკითხა სწავლულს, რით აიხსნება, რომ მეცნიერები ხშირად მოდიან მდიდართა კარზე, მაშინ როდესაც მდიდრებს იშვიათად ნახავთ მეცნიერთა კარზეო.

—ეს იმით აიხსნება,—მიუგო მეცნიერმა,—რომ მეცნიერებმა სიმდიდრის ფასი კარგად იციან, მდიდრებმა ყოველთვის არ იციან მეცნიერების ფასი.

შხაშის საინაულოდემო საუბარება

ერთი ცნობილი მსახიობი ავად გახდა და ექიმმა ძლიერ მუქი ფერის წამალი გამოუწერა. ერთ დღეს მსახურმა შეცდომით წამლის მაგიერ მელანი დააღვინა. როდესაც მსახური მიხვდა შეცდომას, შეშინებულმა შეჰყვირა:

—მაპატიეთ, სერ, წამლის მაგიერ მელანი დაგაღვინეთ!

—არა უშავს რა,—სთქვა მსახიობმა,—საშრობ ქალაქსაც ზედ მივაყოლებ.

შეხვედრა

ქალი:—ხომ არ იცნობთ იმ მახინჯ ჯენტლმენს, ჩვენს პირდაპირ რომ ზის?

კაცი:—ეს ჩემი ძმაა.

ქალი: (დარცხენილი)—მაპატიეთ, სერ, მე ვერ შევნიშნე მსგავსება!



რიონი

ივანეს ქდა ბაბილანას: გულდათუთქული იწერებით სადგურ რიონის სანახაობათა შესახებ:

„რიონის სადგურის მნახველს მოაწვება გულზე დაუდო: აქ, ბაქანზე, თავისუფლად თხა და ღარი მუდამი დადის“.

და მოგვიტხოვრობთ იმ ცხელი შუადის აზბაის, რომელიც ინდაურის გამოუტაცებია საწყალ მაკრინესათვის იმავე ბაქანზე. თუ ყველა ამასთან გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იქვე ბატი და კვატი დასურავს, მაშინ თქვენი „გულის დარღები“ გაუგებარი ხდება. ისეთი გულკეთილი სადგურის აღმინისტრაცია გყლიათ, რომ „ცხოველებსა“ და ფრინველებსაც ალაღებს და მგზავრებთან ათანაბრებს და რაღა გადარღებთ?

ბოლოს ხომ თვითონვე დასძენთ

„... რიონის სადგური, ლამის გახდეს ხოლოპარკი“-ო.]

მერე და განა ისეთი ზოოპარკი, რომელიც ალბად მაგ თქვენი სადგურის აღმინისტრაციაც შიგ მოჰყვება, ცუდი სანახაობა იქნება?

შე უსათუფლოდ შეწუხებულხართ.

ღანჩუთი

ჯაპანელ ბიძიას: თქვენი აღშფოთება სადგურ ჯაპანას მორივე სიმონ გოგვაძის წამგლიჯური მოქმედების შესახებ ჩვენ არ მიგვანია დიდი მასშტაბის მოვლენად. თქვენ მიგიტანიათ ბორჯომში გასაგზავნად 25 კილოგრამი ბარგი. გოგვაძეს 14 მანეთის ნაცვლად მოუთხოვია 80 მანეთი, თქვენს პროტესტზე მას ჩხუბი აუტეხია და ბოლოს მაინც იძულებული გამხდარხართ მიგეცათ მისთვის 75 მანეთი ზედმეტი.

თქვენ დასძენთ:

„მავე ბარგის გაოგზავნაში ბორჯომის სადგურმა 14 მანეთი გადამახდევინა, ხოლო სამგზავრო ბილეთში—26 მანეთი მივეცი ბორჯომის მოლარეს—გოგვაძემ კი 35 მანეთი გადამახდევინა—რა ეწოდება ამას?“

თუ მდგომარეობას შეურიგდით და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გვეკითხებით, მოგახსენებთ, რომ ამეს (ჯაპანას სადგურის მორივე ს. გოგვაძის მოქმედებას) ეწოდება წვრილმანი კომბინატორობა, გამოძალგა, სამსახურებრივი უფლების ბოროტად გამოყენება, რასაც არ აწყენდა აურადლების დროზე მიქცევა.

და ჩვენის მხრივ დაესძენთ: კიდევ კარგი, რომ ბორჯომი და ჯაპანა შორიშორსაა და ს. გოგვაძე შეთავსებით ბორჯომშიც არ მორიგეობს, თორემ მაშინ ორჯერ მეტი დაგიჯდებოდათ, მაგ ტვირთის გაგზავნა-გამოგზავნა.

საჩხერე

მოღინახეს: თქვენი რაიაქტივის სასადილოს ინვენტარის საკითხი არც ისე რთული და მოუგვარებელი ყოფილა, როგორც თქვენ ფიქრობთ:



1. ორშაბათს, შუაქიჩინახილმარე ვბოხანის დარეკტორთან ხასწრაფო საქმეზე შევიდა ბიორგა:

- დირექტორი არ არის?
- არ არის წავიდა. შეკრებაზე მოხსენებას აქვს. უთხრა მდივანმა.



2. შეკრება და მოხსენება.



3. რაშოდენიმე დღის შემდეგ გიორგიმ კვლავ მოინახულა ტრესტი:

- დირექტორი არ არის?
- არის, მაგრამ არ სცალია, გვეგებს ადვენს.



4. გვეგებს შედგენა.

საინიც, ჯამიც, ჩანგლოც მხოლოდ სამ-სამი ცალია, მოსადილე კი ასობით რიგს უცდის განაწვალა. ჩანგლების კრიზისისაგან დგას ჩვენს წინ რთული დილემა: ვით ისადილოს სამ ჩანგლით ოთხმოცმა მოსადილემა?

ამ დღეებში ნიანგი აპირებს საჩხერისაკენ ჩამოვლას. გარწმუნებთ, რომ იგი თავისი ჩანგლით ინახულებს თქვენი სასადილოს მესვეურებს და ნახავთ თუ უმალვე არ გამოსწორდეს თქვენი დანა-ჩანგლის კრიზისი.

გურჯაანი

გურჯანელს: გურჯაანის კავშირგაბმულობის ბელს შეუწუხებინართ: თურმე არც რადიო-დანადგარები ლაპარაკობენ, არც ტელეფონები.

„გურჯაანის რაიკომკავშირის დამზადების კანტორის ტელეფონი 10 თვეზე მეტია, რაც არ მუშაობს. ასევე ითქმის მტს-ის ხაერთა განყოფილების და სხვა ტელეფონებზე, რომლებიც დამუშავებულან და კედლებზე ფორმალურად ჰყიდია“-დასძენთ.

შე კაიკაცო, ეგ რად გიკვირს? განა მართო თქვენი აპარატებია ფორმალურად ჩამოკიდული? მაგალითად თქვენივე კავშირგაბმულობის ის მუშაკნი, ვისაც ეხება მაგ „დამუშავებული“ აპარატების მორჩენა—ფორმალურად არ ყოფილან „ჩამოკიდულნი“ ფოსტის სკამებზე?

ღუშეთი

კ. შინვალელს: დიდათ საინტერესო ამბებს გვატყობინებთ ღუშეთიდან: თურმე „სოიუსტრანსის“ ავტოსადგურის უფროსს მირაქოვს, რომელიც შეთავსებით სასადილოს გამგეც ყოფილა, მგზავრების მოსაცდელი ოთახი საკუჭნაოდ გადაუქცევია და მგზავრებს ქუჩაში აცდევინებს.

ეს არც ისე დიდი უბედურებაა.

კიდევ კარგი, რომ ეგ თქვენი მირაქოვი შეთავსებით მეგზოვედაც არ არის, თორემ მგზავრებს არც ქუჩაში მოაცდევინებდა.

მეორე საინტერესო ამბავი ისაა, რომ:

ღუშეთის ელსადგური კვირაში ორ დღეს აწვდის შუქს, ხოლო ოთხ დღეს რემონტშია. უნდა გამოიაროს რას აკეთებს ეგ თქვენი ელსადგური ეშვიდე დღეს? ალბად სარემონტოდ თუ ემზადება.

ხოლო რაც შეეჩება მესამე ამბავს იმის შესახებ, რომ თქვენი კომგანის აბანო ორი წლის განმავლობაში რემონტში მდგარა და არ იცათ ტა ეშველება—ნიანგიც დიდათ დაინტერესა. ნიანგი ფიქრობს, რომ აბანოსთან ერთად თქვენი კომგანიც სარემონტოდ უნდა იყოს და თუ საშველს ეძებთ—ჯერ კომგანი უნდა შეარემონტოთ.

დიღუბეში არსებობდა კინო-თეატრი "კომინტერნი".

— მერე რა, რომ არსებობდა? — მკითხავს ნიანგი.

— დიდი არაფერი: იყო და აღარ არის! 1943 წ. ზაფხულში კინო-თეატრმა თქვენი პირი წაიღო.

— რატომ და რისთვისაო?

— უბრალო მიზეზის გამო, ამხანაგო ნიანგო, სულ უბრალო მიზეზის გამო: ჩვენი კინო-ფიკაციის მუშაკებმა ომის პერიოდთან შეუსაბამოდ ჩასთვალეს დიღუბეში კინო-თეატრის არსებობა, — აიღეს და ბოქლომი ჩამოჰკიდეს.

— მერე ეხლა ხომ ომი აღარ არისო? — ჯიუტად შემეკითხება ისევ ნიანგი.

— ჰო და, რომ აღარ არის, ეს ვიცით და

იმიტომაც მივფიქრეთ კინოფიკაციის მესვეურებს:

რა იქნებოდა, რა მოხდებოდა, დიღუბეში ერთი კინო ჩვენც გვლირებოდა?

ასე გასინჯეთ კინოფიკაციის სამართველოშიც კარგი მომღერლები აღმოჩნდნენ — „ოთხხმიანი რომანსით“ გვიბასუხეს:

ორმოცდახუთში რაღა იქნება? ორმოცდაექვსში გვაქვს შეპირება, მაგრამ არ ვიცით, რა მოხერხდება — ორმოცდაშვიდში თუ გაიხსნება!

ეს როგორ გაეფოთ, ნიანგო? — კინოფიკაციის მესვეურებს ეტყობათ ბულბულების იგავებით კვება ჰყვარებიანთ, მაგრამ დიღუბეში ხომ მარტო ბულბულები არ ცხოვრობენ? — ესეც ხომ მშრომელთა უბანია.

ო. მ. მადანაძელი

1. ერთი მაღასია ცხრა ნოქარმა ცაიყო.

2. სიბერემდე სიქჩადეთ და სხებო მისას ჩვილის კომპლექტო.

3. რა სჭირს კოსტასო? ჰკითხეთ ფოსტასო.

4. ახალი ცოცხი კარვად გვისო, მაგრამ არც ერთი არტელი არ უბუბსო.

5. ფასს აწესებდნენ და სასადილოს გაძვე სიცილით კვდებოდაო.

6. მამაძმა — ვიუღიყო...

ფერმის გაძვე — რა იყო? — ჩემი საკენკი ვინ ეშმაკმა წაიღო? შეკრიბა მინამ

ს ა ს ა თ დ ა ო ს თ ა ნ

ნახ. ა. კანდელაკისა



— დიდათ მოჩმუნე კაცია ჩვენი ახალი მესაფლავე!
— რაზე ეტყობა?
— ყოველდღე თითო ხის ჯვარი მიაქვს სასაფლაოდან სახლში.



№ 11 თბილვაკრობის მაღაზიებს არ ათბობენ



„თბილვაკრობის“ დახურულში
სცივათ ვაჟებს, სცივათ ქალებს,
მაგრამ ნოქარს ვინ დაჩაგრავს,
ვისი ხათრით იკანკალებს?!

დახლქვეშ თბილა, ჯიბებს თბილა,
გარეგნულად სცივათითქოს!..
რა ჰქნას, ცეცხლით ხელსწვერ ითბოს,
საქონლითაც არ მოითბოს?!

„რაიონებში ჩვილის კომპლექტის დარიგებას აგვიანებენ“.

კორესპონდენციიდან



1. რომ დაიბადა პატარა,
ორდერი მისცეს მშენებელსა,
ორდერი დარჩა ორდერად,
ვერ იქნა, ვერ ათვისა.

2. წამოაზარდა, ფეკობდა
— ეს მაინც დამაშოშინებებს,
ჩვილის ტანსაცმელს მოპყემენ,
ჩავაცმევ ამ ჩემს თოჯინებს.

3. მაგრამ ქმარშვილის პატრონი,
დღეს ნატრობს გაუბედავი:
— ჩემი კუთვნილი კომპლექტი
ჩემს შვილს მოესწროს ნეტავი!

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, შჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელნაწ. დასაბ. 1945 წ. 15/1 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 6. ფეკ. № 1475. ტირ. 7500.